



## ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის.

პროექტის დასახელება  
საინფორმაციო სახის კამპანიები ახალგაზრდებში

ა(ა)იპ სამართლიანი სიტყვა და მომავლის არჩევანი

პროექტის განხორციელების პერიოდი: 25.09 - 25.10.2020 წელი


## პროექტის მიზანი

სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობა 2020 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გზით.

## პროექტის განხორციელების არეალი

აჭარის რეგიონის 3 ოლქი (ქობულეთი, ბათუმი, ხელვაჩაური)

## სამიზნე ჯგუფი



პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები სამიზნე ჯგუფისთვის (თითო ჯგუფისთვის არანაკლებ 8 საათის ხანგრძლივობით) შემდეგ საკითხებზე:

- აქტიური მოქალაქეობა და არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობა;
- არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები;
- ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი საარჩევნო გარემო;
- დეზინფორმაციის გავლენა სანდო საარჩევნო გარემოზე;
- პარტიის როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაში;
- ჩართული მხარეების საარჩევნო ეთიკა და პროფესიული სტანდარტები;
- წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოება და შეზღუდვები;
- საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციები

ტრენინგები განხორციელდა სამი ჯგუფისათვის - 60 (სამოცი) ბენეფიციარზე.

# ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა



## პროექტის უშუალო შედეგები:

- საარჩევნო სუბიექტების აჭარის რეგიონის (ქობულეთი, ბათუმი, ხელვაჩაური) 60 წარმომადგენლმა მიიღო ინფორმაცია 6 სატრენინგო მოდულის შესახებ;
- მონაწილეებმა გაიარეს სატრენინგო კურსი მათთვის მისაღებ გარემოში;
- მონაწილეებს გადაეცათ როგორც ბლოკნოტები, აგრეთვე სახელმძღვანელოები ვიზუალური ინფორმირებისთვის;
- მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები;
- დამუშავდა ტრენინგის შეფასების ფურცლები 60 მონაწილეზე;
- წარმოებდა ფოტოგადაღება.

პრე და პოსტ ტესტების შედეგების შედეგად გამოვლინდა საკითხების მიმართ ცოდნის 45%-იანი მატება, რაც მნიშვნელოვან შედეგად შესაძლოა ჩაითვალოს, აგრეთვე დამუშავდა მონაწილეთა შეფასება, რომლის მიხედვითაც პროექტის მონაწილეები აღნიშნავდნენ კმაყოფილებას.

მადლობა ყურადღებისთვის!